ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

KA010198874835115

№16/75199

10 / დეკემბერი / **2015 წ.**

შპს Real Estate Construction.
საქართველო, ქ. თბილისის, აღმაშენებლის
ხეივანი N95

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #17494/07 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი „ 2" (ორი) ფურცელი

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-17494/07

"08" 12 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.820) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1206149 14.04.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-10" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე, რის გამოც გაუქმებულია გარე კიბეები. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი. „5-6" მონკავეთში დამატებით მოწყობლია რიგელი. +20.20 ნიშნულზე „1-2" მონაკეეთში კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი, ხოლო „ა-ა" ღერძზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი. სახურავზე „7-8" მონაკეთში გაზრდილია კიბის უჯრედის სიმაღლე.

„10-1" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე „5-4" და „3-1" მონაკევთებში გაზრდილია ვიტრაჟების გაბარიტი. „3-3" ღერძთან გაზრდილია გარე კიბის საფეხურების რაოდენობა, მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები, შეცვლილია მოაჯირის ნახატი და მარცხენა მხარეს დამატებით მოწყობილია მოაჯირი. +20.20 ნიშნულზე „2-1" მონაკეეთში შეცვლილია მოაჯირის მასალა. +23.50 ნიშნულზე „9-8" მონაკვეთში შეცვლილია კარის მასალა.

„ა-თ" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე, რის გამოც გაუქმებულია გარე კიბეები. „ზ-თ" მონაკვეთში ამოშენებულია ვიტრაჟი. „დ-ა" მონაკვეთში +1.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობი. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და შესავსებია სადარბაზოში შესასვლელი ღიობები. +23.50 ნიშნულზე „დ-დ" და „ზ-ზ" ღერძებთან დამატებით მოწყობილია ლითონის ტიხრები.

„თ-ა" ფასადზე: „ვ-ვ" ღერძთან გაზრდილია გარე კიბის საფეხურების რაოდენობა, მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები და დამატებით მოწყობილია მოაჯირები. „თ-ვ" და „ე-დ" მონაკვეთებში გაერთიანებულია ორ-ორი ვიტრაჟი. +20.20 ნიშნულზე „დ-ა" მონაკვეთში შემცირებულია კაპიტალური მოაჯირის სიმაღლე და ტერასის შუაში ლითონის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური ტიხარი. კოლონები გადმოწეულია გარეთ 0.4 მ-ით და გაზრდილია გადახურვის გაბარიტი.

ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები, სატელიტური ანტანები და კონდიციონერები. შეცვლილია ფასადების ღებვა, ფერი და ლესვა (ფაქტურული ლესვის ნაცვლად შესრულებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარის შეფრქვევა). შეცვლილია და დამატებულია გამათბობლების, აირგამწოვი მილების და კონდიციონერების მდებარეობა და რაოდენობა. გაუქმებულია ლითონის დეკორატიული

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

საჩრდილობლები. „6-1" და „თ-დ" მონაკვეთებში ცოკოლზე მოწყობილია ფრამუგის ღიობები. „10-10" და „ა-ა" ღერძების კვეთასთან შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე. სახურავებზე შეცვლილია კაპიტალური მოაჯირების სიმაღლე, ხოლო +23.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები და გაუქმებულია პარაპეტის კედლის სიბრტყიდან გადასვლა. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტები, რაოდენობა და მდებარეობა.

შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები. შიდა კიბის უჯრედებში მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები კონსტრუქციის კიბეები და შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. „გ-დ" მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის გაბარიტები და „7-7" ღერძზე კედლებში მოწყობილია ფრამუგის ღიობები. „ვ-ე" მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბის მიმართულება. „4-3" მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. -3.00 ნიშნულზე „7-8" მონაკვეთში შეცვლილია შიდა კიბის კონფიგურაცია. „ზ-თ" მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის ფორმა, გაბარიტები. სახურავზე დაწეულია ლიფტის სამანქანოების იატაკის დონე.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

„1-1" ღერძის გასწვრივ მოწყობილია ბეტონის დაბალი კედელი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „Real Estate Construction"-ს, ზაზა ქოჩიაშვილს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.820) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №17494/07 08.09.2015წ. განცხადება.
№წ-17494/07 14.09.2015წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**